| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები’’, რომელიც შეიცავს დეტალურ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ინფორმაციას სამედიცინო დახმარების აღმოჩენის გზების შესახებ. მას თან ერთვის პირველადი დახმარების ინსტრუქცია, რომელიც ვიზუალურადაც არის წარმოდგენილი.<br>სკოლაში ორი სამედიცინო კაბინეტია, რომელი აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/ნ, 21/03/2022წ. - ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ წარმოდგენილ რეგულაციებს. სკოლის ექიმებს უმაღლესი განათლება უდასტურდებათ შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები’’;<br>• ხელშეკრულებები სკოლის ექიმებთან;<br>• სკოლის ექიმების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და სერტიფიკატები;<br>• სამედიცინო ინვენტარის, მათ შორის მედიკამენტების, ფლობის და/ან შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | როგორც ცნობილია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №06/ნ, 2019 წლის 29 იანვარი - ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებსა და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს და მისი მოქმედება ვრცელდება საჯარო სკოლებზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის წარმომადგენლები, მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად (სულ 6 მანდატური), უზრუნველყოფენ სკოლის შენობაში და გარე პერიმეტრზე განახორციელონ პრევენციული ღონისძიებები, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისას, კი გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები.<br>მტკიცებულების სახით, ზემოაღნიშნული ბრძანების შესაბამისად, სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, კერძოდ, ბრძანება MES 5 21 0000002/88, 15.11.2021წ. ,,სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლაში მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ“, მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები, დირექტორის ანგარიში 2021-2022 სასწავლო წლის განმავლობაში სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული მიღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ და ა.შ.<br>გარდა ამისა, სკოლას ჰყავს დღის და ღამის დარაჯები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის კონტროლსა და დაცვას. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე;<br>• მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები;<br>• დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ანგარიში - 2021-2022 სასწავლო წლის განმავლობაში სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული მიღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ;<br>• ხელშეკრულება სკოლის დარაჯებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრი კონტროლდება 94 ერთეული უსაფრთხოების კამერით, რომლებიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. A, B და C ბლოკს აკონტროლებს 54 კამერა. მანდატურების ოთახებიდან (სულ 2) შესაძლებელია სკოლის როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრის დათვალიერება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების - N448, 15/09/2005წ. - ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე, დამტკიცებულია საჯარო სკოლების წესდება.<br>რაც შეეხება სკოლის შინაგანაწესს, იგი წესდებასთან ერთად წარმოადგენს სკოლის საქმიანობის ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტს. შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის შინაგანაწესი შეიცავს ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორიც არის: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, სკოლაში მასწავლებლის/თანამშრომლის მიღება და სამსახურებრივი შეთავსება, შრომითი ურთიერთობის პირობები, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი და ა.შ.<br>შინაგანაწესის მე-8 თავი მთლიანად ეთმობა დასაქმებულის წახალისების ფორმებს და დისციპლინურ პასუხისმგებლობას. მოსწავლის წახალისების ფორმებს და დისციპლინური წარმოების თავისებურებებს არეგულირებს მე-9 თავი, სადაც დეტალურად |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | არის განხილული მოსწავლის პასუხისმგებლობა კონკრეტული გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში.<br>გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების დებულებები (სამსახურებრივი ინსტრუქციები), რომლებიც პროცესების ორგანიზებულად წარმართვას განაპირობებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;<br>• საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება - N448, 15/09/2005წ. - ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“;<br>• სტრუქტურული ერთეულების დებულებები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა შემუშავდა SWOT-ანალიზის საფუძველზე. კონკრეტული ღონისძიებების გატარების საჭიროება გამოიკვეთა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზის გათვალისწინებით. სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან (2021-2027 წლები) და ითვალისწინებს სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელ აქტივობებს, დასახული მიზნების მიღწევის თანმიმდევრობას, ახდენს შესრულებაზე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პასუხისმგებელი პირების შერჩევას/განსაზღვრას და ადგენს განხორციელების ვადებს.<br>რაც შეეხება განვითარების ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმას, ჩანაწერის მიხედვით, მისი რეალიზება შესაძლებელია შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით და ობიექტური ანალიზით. შესაბამისად, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა უნდა განხორციელდეს პერიოდულად.<br>სტრატეგიული გეგმის ამოცანები სკოლას შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი:<br>• მოსწავლეების შესაძლებლობების აღმოჩენა და მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობა;<br>• მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაში ხელშეწყობა;<br>• სწავლის თანამედროვე მეთოდების დანერგვა;<br>• თანამედროვე ტექნოლოგიების სწავლების პროცესში დანერგვა და გამოყენება.<br><br>ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებია:<br>• პოზიტიური სასწავლო გარემო, რომელიც შექმნის ოპტიმალურ პირობებს თითოეული მოსწავლის ნიჭისა და უნარის სრულყოფილად გამოსავლენად;<br>• კვალიფიციური კადრების მოზიდვა და მათი შენარჩუნება, ზრუნვა მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე;<br>• სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების და თანამედროვე სწავლების სტრატეგიების/მიდგომების გამოყენება;<br>• ინკლუზიური განათლება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;<br>• სკოლის ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;<br>• სკოლის SWOT- ანალიზი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (EFLOW). სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი. სკოლა აწარმოებს საერთო ბრძანებების აღრიცხვის სარეგისტრაციო ჟურნალს, მოსწავლეთა ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალს, გასული და შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის სარეგისტრაციო ჟურნალს, ხელშეკრულებების აღრიცხვის სარეგისტრაციო ჟურნალს. ჟურნალები დანომრილია. დამოწმებულია სკოლის დირექტორის ხელმოწერით და ბეჭდით. სკოლის ყველა აქტი ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ. აღსანიშნავია, რომ პანდემიის პირობებში, სკოლას შედგენილი ჰქონდა ბრძანება, რომელიც საქმისწარმოების წესის ელექტრონულად წარმართვას განაპირობებდა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საქმისწარმოების ერთიანი წესი;<br>• სარეგისტრაციო ჟურნალები;<br>• ბრძანება საქმისწარმოების განსხვავებული წესით (ელექტრონულად) წარმართვის შესახებ. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლას დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი და შემუშავებული აქვს სტრუქტურა, ჰყავს ადმინისტრაცია, ტექ-პერსონალი და მასწავლებლები.<br><br>მიმდინარე ეტაპზე საშტატო ნუსხით წარმოდგენილია:<br><br>1 სკოლის დირექტორი;<br>3 დირექტორის მოადგილე;<br>1 ბუღალტერი ;<br>1 საქმისმწარმოებელი;<br>1 მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი;<br>1 ბიბლიოთეკარი;<br>1 საინფორმაციო მენეჯერი.<br><br>ასევე, სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია:<br>1 ცეცხლფარეში, 3 მუშა, 3 დარაჯი, 5 დარაჯი სადღეღამისო, 1 სკოლის ექიმი, 12 დამლაგებელი, 8 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად სკოლაში მუშაობს 89 მასწავლებელი. სკოლას მიმდინარე პერიოდში გამოცხადებული აქვს მასწავლებელთა მიღება 19 ვაკანსიაზე: 2 ქართული ენისა და ლიტერატურის, 1 მათემატიკა, 1 ისტ, 1 ფიზიკა, 1 ქიმია, 1 ინგლისური ენის, 1 რუსული ენის, 1 მუსიკის, 1 ხელოვნების, 4 სპორტის, 5 დაწყებითი მასწავლებლის პოზიციაზე.<br>ადმინისტრაციის, ტექ-პერსონალისა და მასწავლებელთა უფლება-მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებებში. მასწავლებელთა უფლება-მოვალეობები ხელშეკრულებებში გაწერილია სტატუსების შესაბამისად. სკოლის ბიბლიოთეკარის, კლასის დამრიგებლების მოვალეობები გაწერილია ასევე დებულებებშიც.<br>სკოლაში დასაქმებული მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2022-2023-სასწ.-წლის-მასწავლებელთა-საათობრივი-დატვირთვის-პროექტი;<br>• დამტკიცებული საშტატო განრიგი;<br>• საათობრივი ბადე;<br>• გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• ბიბლიოთეკის დებულება;<br>• სადამრიგებლო დებულება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 89 |
| მოწვეული/მაძიებელი | 0 |
| პრაქტიკოსი მასწავლებელი | 0 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------
----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| უფროსი მასწავლებლი | 63 |
| წამყვანი მასწავლებლი | 25 |
| მენტორის სტატუსი | 1 |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის ყველა მასწავლებელი ჩართულია „მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“. პირად საქმეში წარმოდგენილი განათლებისა და კვალიფიკაციის დოკუმენტაცია შეესაბამება ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.<br>სკოლაში მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის მიღება ხდება კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. სკოლაში ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა საკონკურსო გასაუბრებები გამოცხადებულ ვაკანსიებზე მასწავლებლობის კანდიდატებთან.<br>მასწავლებელთა პორტფოლიოები ორგანიზებულია და თითოეულ მასწავლებელზე ამომწურავ ინფორმაციას ქმნის. აქ წარმოდგენილია თითოეული მასწავლებლის ცნობები ნასამართლობის შესახებ, აგრეთვე, ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ, მასწავლებელთა სტატუსების ამსახველი დოკუმენტაცია, განსაკუთრებული დამსახურებები და ჯილდოები, სერტიფიკატები, ინფორმაცია წარმატებით განხორციელებული პროექტების შესახებ, კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ და სხვა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• მასწავლებელთა პირადი საქმეები/დოკუმენტაცია;<br>• მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი;<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან/მასწავლებლებთან. |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი. წესი არეგულირებს სკოლის მიერ ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის გამოცხადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს და განსაზღვრავს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური საათების დასაკავებლად დადგენილ სავალდებულო მოთხოვნებთან. კონკურსის პრინციპებია: ობიექტურობა, გამჭვირვალობა, კოლეგიურობა, კორექტულობა. სკოლაში საგნის ვაკანტური საათების არსებობის შემთხვევაში, სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით ვაკანსია შეიძლება შეივსოს კონკურსის საფუძველზე. აღწერილია კონკურსის გამოცხადების წესები და პროცედურები, მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა, კომისიის შემადგენლობა, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი, კონკურსის შედეგები და სხვა.<br>სკოლის შინაგანაწესში დეტალურადაა აღწერილი სკოლაში დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის წარმოშობის, ურთიერთობის პირობები, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და საბოლოო ანგარიშსწორება, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დასაქმებულთა (გარდა მასწავლებლების) დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს სკოლის დირექტორი. დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომა შეიძლება განიხილოს დისციპლინურმა კომიტეტმა. მასწავლებელთა და დამრიგებელთა გადაცდომების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოა დისციპლინური კომიტეტი.<br>დღესასწაულებთან დაკავშირებით, მოტივაციის ამაღლების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის, საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის ან/და სხვა დასაბუთებული მიზეზის შემთხვევაში, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების სხვადასხვა ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.<br>დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მასწავლებელთა განსაკუთრებული წარმატებები, მათთან შეთანხმებით, ქვეყნდება სკოლის სოციალურ გვერდზე.<br>სკოლაში დასაქმებული შრომით ხელშეკრულებასთან ერთად ეცნობა სკოლის შინაგანაწესს და ადასტურებს ხელმოწერით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;<br>• ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან, პერსონალთან, ადმინისტრაციასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. შრომითი ხელშეკრულებები შეესაბამება შრომის კოდექსს და მოქმედ კანონმდებლობას;<br>ხელშეკრულებები დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად და აღრიცხულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხელშეკრულებები (უფროსი, წამყვანი, მენტორი მასწავლებლის, დირექტორის მოადგილის, მტუკის...)<br>• სკოლის აკადემიური სტრუქტურა;<br>• სარეგისტრაციო ჟურნალები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების დებულება, რომელიც განსაზღვრავს სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | განვითარების მექანიზმებს. სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმის, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 2 ივნისის N97/ნ ბრძანების და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.<br>ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების შემოღებისა და განხორციელების მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება.<br>ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში:<br>• განხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზება;<br>• სკოლის სტრუქტურაში მოცემული თანამდებობების სისტემატიზაცია, პოზიციების შესაბამისის სამუშაო აღწერილობების შემუშავება და მათი განახლების უზრუნველყოფა;<br>• რეგულარულად შეფასდება ადამიანური რესურსების მართვის მეთოდებისა და შესაბამისი პროცედურების ეფექტიანობა;<br>• გაკეთდება ადამიანური რესურსის სტაბილურობის, აგრეთვე, დინამიკის სტატისტიკური ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციები;<br>• დაიგეგმება და განხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება თანამშრომელთა გუნდური მუშაობის და მათ შორის არაფორმალური ურთიერთობების განვითარებას.<br>• განხორციელდება კონსულტაციებისა და სადისკუსიო შეხვედრების ორგანიზება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების განხორციელებას ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე დირექტორთან შეთანხმებით. დასაქმებულთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა უფლებამოსილია:<br>• არსებობის შემთხვევაში, ჩაერთოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში;<br>• უზრუნველყოს წინარე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სკოლაში დასაქმებულების აქტიურ მონაწილეობის წახალისება;<br>• დასაქმებულის თანხმობით, უზრუნველყოს მათი მონაწილეობა პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში;<br>• ხელს შეუწყობს მასწავლებელს აიმაღლოს კვალიფიკაცია.<br>მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მოიცავს შემდეგ ეტაპებს: პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირებას, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/დაგეგმვას, შესაბამისი კანდიდატების შერჩევას, მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის რეგულარული შეფასებას.<br>სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის ერთწლიან და ექვსწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმებში მნიშვნელოვანი მიმართულებაა სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა - მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. მითითებულია კონკრეტული აქტივობები ამ მიმართულების გაძლიერებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის ექვსწლიანი განვითარების გეგმა;<br>• სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის SWOT ანალიზი;˜<br>• სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლაში არის მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, რომლის ფორმირებაც სკოლის ლიდერი-დირექტორისა და ადმინისტრაციის დამსახურებაა. სკოლის მასწავლებლებში არის ერთსულოვნებისა და გუნდურობის განცდა. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი ერთობლივად მუშაობენ სასკოლო საგნობრივ კურიკულუმებზე, სასწავლო რესურსების შექმნაზე და ურთიერთგაზიარებაზე. მასწავლებლები რეალურად და ობიექტურად აფასებენ საკუთარ გამოწვევებს და მათთან გამკლავების ეფექტიან გზად ურთიერთთანამშრომლობას ასახელებენ. სკოლის ცენტრალურ ფოიეში განთავსებულია დიდი სლოგანი „Together, Everyone, Achieves, More", რაც სასკოლო საზოგადოებას მოუწოდებს ერთსულოვნებისა და წარმატებისაკენ. სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, რაც სკოლაში გაზიარებული მმართველობისა და დემოკრატიულობის მახასიათებელია.<br>სკოლაში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების აზრი და დამოკიდებულება. ამიტომ სკოლა აქტიურად ატარებს გამოკითხვებს სკოლაში ძალადობისა და ბულინგის მართვის, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------
----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | არაფორმალური განათლების კომპონენტის შეფასების, ურთიერთთანამშრომლობის შეფასების მიმართულებით;<br>სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობებს იმისათვის, რომ მათ ბოლომდე აღმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და იგრძნონ თავი რეალიზებულად. მაგალითად, 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო პროექტად განხორციელდა „ჩვენ ჯანსაღი მოქალაქეები ვზრუნავთ სამოქალაქო უსაფრთხოებაზე“. შეთავაზებულ აქტივობებში ჩაერთო კლასების უმეტესობა და განახორციელა დაგეგმილი აქტივობები. ასევე, განხორციელდა მეორე სასკოლო პროექტიც „ჯანსაღი თაობა ჯანსაღ გარემოში“. საბუნებისმეტყველო კათედრის ხელმძღვანელობით განხორციელდა პროექტი „მეტყველი მაისური“. მასწავლებელთა მიერ კლასის პროტფოლიოებში უხვად იყო წარმოდგენილი ფოტომასალები და მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრები. სკოლაში აღინიშნა „დედაენის დღე“, ბავშვთა დაცვის დღე, „დედამიწის დღე“ და ა. შ. ტარდება ვიქტორინები და სახალისო კონკურსები. მაგალითად, მათემატიკური ვიქტორინა „გეომეტრიული ფიგურები“ ჩატარდა დაწყებით კლასებში.<br>სკოლის შესანიშნავი სპორტული ინფრასტრუქტურა და სპორტის მასწავლებლების მიერ შეთავაზებული სახალისო სპორტული აქტივობები, შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთში, მინიფეხბურთში წაახალისებს მოსწავლეებს ჰქონდეთ ჯანსაღი ცხოვრების რუტინა, გუნდურობისა და ერთსულოვნების განცდა.<br>პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრების და ავტორიზაციის ვიზიტისას მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დგინდება, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.<br>მშობლები განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | თანამშრომლობის ატმოსფეროს შესაქმნელად. გამოთქვეს კმაყოფილება სკოლის ხარისხიანი მომსახურების გამო.<br>სკოლის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სკოლა მათი მეორე ოჯახია, სადაც ურთიერთპატივისცემა და თანამშრომლობა ყველასთვის მნიშვნელოვანია, რომ სკოლა ცდილობს მასწავლებელს შეუქმნას კომფორტული სამუშაო გარემო, გაუწიოს მხარდაჭერა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრება;<br>• მასწავლებლებთან გასაუბრება;<br>• ადმინისტრაციასთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------
---------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------------

ბ.ა.

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი: 204 (ორასოთხი) გვერდი;

............................ ......................

(შევსების ადგილი): ქ. თბილისი
თარიღი: 18 აგვისტო, 2022წ.
გვერდების რაოდენობა: 42 (ორმოცდაორი) გვერდი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.